

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მუსიკის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის აღწერა

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი Bachelor of Music
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი) <ul style="list-style-type: none"> საუნივერსიტეტო საბაზისო მოდული - 60 კრედიტი. ძირითადი აკადემიური პროგრამა - 120 კრედიტი. დამატებითი პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2017 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
მბაქვპროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
ერთიანი ეროვნული გამოცდები.	
პროგრამის მიზნები	
<p>მუსიკის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> დანერგოს და/ან განავითაროს საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში მუსიკის ისეთი მნიშვნელოვანი და საჭირო მიმართულებები, როგორებიცაა ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკა, ეთნომუსიკოლოგია, თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობები: ჯაზი, პოპი; კომპოზიცია და საკლავიშო ხელოვნება; შეინარჩუნოს და შემდგომ განავითაროს ქვეყანაში არსებული საუკეთესო მუსიკალური ტრადიციები; მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს მუსიკის შესწავლა სტუდენტების ფართო წრისთვის; მისცეს სტუდენტს, ერთის მხრივ, ფართო განათლება სამუსიკო ხელოვნების ერთ-ერთ სფეროში (კერძოდ, ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკა, ან ეთნომუსიკოლოგია, ან თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობები: ჯაზი, პოპი, ან კომპოზიცია, ან საკლავიშო ხელოვნება), ხოლო მეორეს მხრივ, ზოგადი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა, რათა გაზარდოს ის მაღალი შემოქმედებითი უნარების, ანალიტიკური აზროვნებისა და მრავალმხრივი პრაქტიკული ჩვევების მქონე, მაქსიმალურად კონკურენტუნარიან მუსიკოსად. <p>ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, რაოდენობრივი მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის უნარი. აგრეთვე გუნდში ეფექტიანად მუშაობის უნარი.</p>	

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

მუსიკის სავალდებულო კურსების ბლოკის შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა:

- მუსიკალური ხელოვნების როლის შესახებ როგორც მსოფლიო კულტურის ისტორიაში, ისე თანამედროვე მსოფლიოში; მის ურთიერკავშირებზე ხელოვნების სხვა დარგებთან;
- მსოფლიო მუსიკის ისტორიის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე - კერძოდ, იმ ძირითად იდეებზე, რომლებმაც გავლენა იქონიეს მუსიკის განვითარებაზე. ასევე, მსოფლიო მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს მიმდინარეობებზე, წარმომადგენლებსა და მათ შემოქმედებაზე;
- სხვადასხვა ეპოქის, ხალხის, სტილისა და ჟანრის მუსიკის მნიშვნელოვან ნიმუშებზე;
- მუსიკის საბაზისო თეორიის ძირითადი პრინციპებისა და ცნებების, მუსიკის ძირითადი კანონზომიერებების, გამომხატველი ელემენტებისა და ნოტაციის შესახებ;
- კლავიატურაზე ორიენტაციისა და სანოტო ლიტერატურის ფურცლიდან კითხვის საფუძვლების შესახებ;
- სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკალური ნაწარმოების გააზრებულად მოსმენისა და შეფასების პრინციპების შესახებ.

ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა:

- ელექტროაკუსტიკური მუსიკის ისტორიისა და ესთეტიკის, უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლებისა და მათი შემოქმედების შესახებ;
- ზოგადად მუსიკალური კომპოზიციის, კერძოდ კი ელექტროაკუსტიკური კომპოზიციის მნიშვნელოვანი პრინციპებისა და საშუალებების შესახებ;
- ელექტროაკუსტიკური მუსიკის ტექნოლოგიების, კერძოდ, დარგისთვის მნიშვნელოვანი სპეციალური კომპიუტერული პროგრამების – Audobe Audition, MAX-MSP-Jitter, Pro Tools – შესახებ;
- ბგერის ჩაწერის, შენახვისა და მანიპულაციის ხერხების შესახებ;
- მუსიკის აკუსტიკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების შესახებ;
- მუსიკის პროგრამირებისა და „ლაივ“ ელექტრონიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ;
- ინტერაქტიური ხმის დიზაინის შესახებ კომპიუტერულ თამაშებში, ინსტალაციებსა და თანამედროვე კომპიუტერულ და მობილურ აპლიკაციებში;
- შემოქმედებითი პროექტის, კერძოდ ელექტროაკუსტიკური კომპოზიციების პორტფოლიოს დაგეგმვისა და გამართულად პრეზენტაციის შესახებ;
- მუსიკალური კომპოზიციის კონცეპტუალური მხარის ჩამოყალიბებისა და ანოტირების შესახებ;
- პოპულარული ელექტრონული მუსიკის ისტორიის, ესთეტიკისა და მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შესახებ.

ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა:

- ადამიანის მუსიკალური უნარებისა და სხვადასხვა კულტურული შრეებისათვის დამახასიათებელი მუსიკალური და შემოქმედებითი აზროვნების ზოგადი ტიპების შესახებ; ეთნომუსიკოლოგიის ისტორიისა და კვლევის მეთოდების შესახებ;
- ტრადიციული მუსიკის, რელიგიისა და ზოგადად რიტუალის ურთიერთმიმართების თავისებურებების შესახებ;
- ქართული სოფლური და ქალაქური ხალხური სიმღერის, საეკლესიო საგალობლისა და ზოგადად ტრადიციული მუსიკის ისტორიისა და მუსიკალური ენის

კანონზომიერებების შესახებ; ასევე, მათი შესრულების სპეციფიკის შესახებ;

- ქართველ მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა მუსიკალური ფოლკლორის შესახებ;
- საქართველოში გავრცელებული ხალხური საკრავების შესახებ; მათ შორის, ქართული სიმებიანი საკრავების სპეციფიკისა და შემსრულებლობის ხერხების შესახებ;
- ხალხური სიმღერის, საეკლესიო გალობისა და საკრავიერი მუსიკის ცნობილი ოსტატების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ;
- საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მუსიკალური შემოქმედების შესახებ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორთან მიმართებაში;
- მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური მუსიკალური კულტურის შესახებ;
- ტრადიციული მუსიკის შეკრების და დამუშავების ისტორიისა და თანამედროვე პრაქტიკის შესახებ საქართველოსა და მსოფლიოში;
- ეთნიკური მუსიკის მოსმენა-შეფასების, შესრულების, საველე შემკრებლობითი მუშაობის დაგეგმვისა და წარმოების, ტრადიციული მუსიკის აუდიო-ნიმუშის ნოტებზე გადატანის, კატალოგიზაციის ტექნოლოგიების, ეთნიკური მუსიკის სხვადასხვა მიმართულების, მათი ფუნქციონირების ნორმების შესახებ თანამედროვე მსოფლიოში;
- ანსამბლში/გუნდში მუშაობის ძირითადი პრინციპების შესახებ;
- საკონცერტო სცენაზე, ვიდეო/აუდიო ჩაწერაზე ქცევის წესების შესახებ.

კომპოზიციის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა:

- თანამედროვე პროფესიული მუსიკის (მათ შორის ქართული) უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობების, ტექნიკებისა და წარმომადგენლების შესახებ ფართო ისტორიულ, ესთეტიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და ანალიტიკურ ჭრილში;
- მუსიკალური კომპოზიციის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების შესახებ;
- მუსიკის ნოტაციის ტიპებისა და ხერხების შესახებ;
- სხვადასხვა ეპოქის ორკესტრის ისტორიისა და თავისებურებების შესახებ;
- საორკესტრო არანჟირების საბაზო პრინციპებისა და ხერხების შესახებ;
- საორკესტრო საკრავების ტემბრული, ტექნიკური და გამომხატველი შესაძლებლობების და ხერხების (მათ შორის თანამედროვე) შესახებ;
- შემოქმედებითი პროექტის, კერძოდ, მუსიკალური კომპოზიციების პორტფოლიოს პროფესიონალურად პრეზენტაციის პრინციპების შესახებ;
- ნაწარმოების კონცეპტუალური მხარის ჩამოყალიბებისა და ანოტირების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- კინოსა და თეატრის მუსიკის სპეციფიკის შესახებ;
- სხვადასხვა კომპიუტერული სანოტაციო, სარედაქტორო და ხმის დასამუშავებელი პროგრამის (როგორცაა, მაგალითად, Sibelius, Sound Forge, Sonar და მსგავსი), საკუთარ შემოქმედებაში გამოყენების ხერხების შესახებ.

საკლავიშო ხელოვნების მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა:

- ევროპული, კერძოდ ბაროკოს და რენესანსის მუსიკის ისტორიის შესახებ;
- ზოგადად საშემსრულებლო, კერძოდ კი საკლავიშო ხელოვნების (ფორტეპიანომდე და ფორტეპიანოს) განვითარების შესახებ ფართო ისტორიულ, ესთეტიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და ანალიტიკურ ჭრილში; ასევე, ამ საკლავიშო მუსიკის უმნიშვნელოვანესი ნიმუშების შესახებ;
- ბაროკოს ეპოქის და კლასიკური მუსიკის (ფართო გაგებით) ფუნდამენტური მახასიათებლების, მნიშვნელოვანი სტილების, ჟანრებისა და ფორმების შესახებ საკლავიშო ხელოვნების ჭრილში;
- ბაროკოს ეპოქის აუთენტური სანოტო ტექსტის გაშიფვრის შესახებ;
- ბაროკოს და კლასიკური (ფართო გაგებით) საკლავიშო ხელოვნებისთვის დამახასიათებელი საშემსრულებლო ხერხების შესახებ;
- სოლო და ანსამბლში მუზიციერებისთვის საჭირო საბაზო პრინციპების შესახებ;

- მუსიკალური ნაწარმოების ინტერპრეტაციისთვის აუცილებელი საბაზისო ანალიტიკური უნარ-ჩვევების შესახებ;
- პროფესიული მუსიკის გააზრებულად მოსმენისა და შეფასების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- სამემსრულებლო პროექტის (კონცერტის/საჯარო შესრულების) გამართულად დაგეგმვისა და პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების შესახებ; ასევე, სცენაზე და აუდიო-ვიდეო ჩაწერაზე აუცილებელი ქცევის წესების ბაზისების შესახებ.

თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობები: ჯაზი, პოპის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა:

ჯაზის (ჯაზ-ვოკალის, პოპ - ვოკალის და ჯაზ-ორკესტრის საკრავების) ბლოკების შესწავლისას:

- ჯაზის ჰარმონიის საფუძვლების შესახებ; ჯაზური სანოტო მასალის ფურცლიდან კითხვისა და ჯაზური სოლოფეჯირების შესახებ;
- ჯაზის ხელოვნების ისტორიის, ძირითადი მიმდინარეობებისა და მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შესახებ;
- ჯაზის სხვადასხვა მიმდინარეობის სამემსრულებლო პრინციპების, ტექნიკების და გამომსახველობითი ხერხების შესახებ (ვოკალური ან საკრავიერი);
- ჯაზის შემსრულებლისათვის აუცილებელი რეპერტუარის (ჯაზსტანდარტების) შესახებ;
- ჯაზური აკომპანიმენტის საფუძვლების შესახებ;
- ჯაზური კომპოზიციების აგების, პრაქტიკული ჯაზური იმპროვიზაციის საკვანძო პრინციპების შესახებ;
- სოლო და ანსამბლში მუზიციერების, გოსპელ-გუნდში სიმღერის, სასცენო მოძრაობის, combo-ანსამბლში დაკვრის, კოლექტიური შემსრულებლობის ბაზისების შესახებ;
- სამემსრულებლო პროექტის (კონცერტის/საჯარო შესრულების) გამართულად დაგეგმვისა და პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების შესახებ; ასევე, სცენაზე და აუდიო-ვიდეო ჩაწერაზე აუცილებელი ქცევის წესების ბაზისების შესახებ.
- პოპ-მუსიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ; სფეროს მნიშვნელოვანი მიმდინარეობებისა, წარმომადგენლებისა და მუსიკალური ნიმუშების შესახებ;
- პოპ-მუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი სამემსრულებლო პრინციპების, ტექნიკების და გამომსახველობითი ხერხების შესახებ;
- პოპ-მუსიკის შემსრულებლისთვის მნიშვნელოვანი რეპერტუარის შესახებ;
- საესტრადო აკომპანიმენტის საფუძვლების შესახებ;
- სამემსრულებლო პროექტის (კონცერტის/საჯარო შესრულების) გამართულად დაგეგმვისა და პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების შესახებ;
- სოლო და ანსამბლში/გუნდში მუზიციერების, სასცენო მოძრაობის შესახებ;
- სამემსრულებლო პროექტის (კონცერტის/საჯარო შესრულების) გამართულად დაგეგმვისა და პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების შესახებ; ასევე, სცენაზე და აუდიო-ვიდეო ჩაწერაზე აუცილებელი ქცევის წესების ბაზისების შესახებ.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მუსიკის სავალდებულო კურსების ბლოკის შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მუსიკის როლის შეფასება მსოფლიო კულტურის ისტორიასა და თანამედროვე მსოფლიოში; მუსიკაზე მსოფლიოს კულტურის ძირითადი იდეების და მიმართულებების გავლენის აღქმა და შეფასება;
- მუსიკის ელემენტარული თეორიის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: ნოტირება, სანოტო ტექსტის ფურცლიდან კითხვა, წერითი და ზეპირი თეორიულ-პრაქტიკული

სავარჯიშოების კეთება, საბაზო მუსიკალური ტერმინოლოგიის/ცნებების სწორად გამოყენება;

- ფორტეპიანოს კლავიატურაზე ორიენტაცია და მარტივი/შედარებით მარტივი სანოტო ლიტერატურის ფურცლიდან კითხვა და შესრულება;
- სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრის მუსიკის გააზრებულად მოსმენა და შეფასება.

ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ელექტროაკუსტიკური, ასევე პოპულარული ელექტრონული მუსიკის უმნიშვნელოვანესი მიმდინარებების სპეციფიკის გააზრებულად აღქმა და მათი წარმომადგენლების შემოქმედების კრიტიკულად შეფასება ფართო ისტორიულ და ესთეტიკურ ჭრილში;
- ელექტროაკუსტიკური კომპოზიციის ძირითადი პრინციპების განხორციელება საკუთარ საკომპოზიტორო პრაქტიკაში: აბსტრაქტული იდეის ხმოვან ენაზე „გადაყვანა“; კერძოდ, მჟღერადი მასალის მოძიება და განვითარება/განვრცობა;
- ბგერის ჩაწერა, შენახვა და მანიპულირება;
- სპეციალური კომპიუტერული პროგრამების Audobe Audition, MAX-MSP-Jitter, Pro Tools პრაქტიკაში გამოყენება;
- მუსიკის პროგრამირების და „ლაივ“ ელექტრონიკის ცოდნის შემოქმედებით პრაქტიკაში გატარება;
- სხვადასხვა მასშტაბისა და სირთულის ელექტროაკუსტიკური კომპოზიციების შექმნა; სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით სავარჯიშოებზე მუშაობა;
- ინტერაქტიური ხმის დიზაინის საბაზო პრინციპებისა და ხერხების გამოყენება კომპიუტერულ თამაშებში, ინსტალაციებში და თანამედროვე კომპიუტერულ და მობილურ აპლიკაციებში;
- მუსიკალური ნაწარმოების კონცეპტუალური მხარის ჩამოყალიბება სიტყვიერად და წერითი ანოტაციების სახით;
- შემოქმედებითი პროექტის, კერძოდ, ელექტროაკუსტიკური კომპოზიციების პორტფოლიოს დაგეგმვა და გამართულად პრეზენტაცია.

ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ქართული ტრადიციული მუსიკის განხილვა მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული მუსიკის ჭრილში;
- ქართული ხალხური სიმღერის და საეკლესიო გალობის უმნიშვნელოვანესი ოსტატების შემოქმედების შეფასება;
- საქართველოში გავრცელებულ საკრავთა სახეების და თავისებურებების ამოცნობა;
- ქართული ტრადიციული სიმღერების (ვაჟთა, ქალთა და ბავშვთა რეპერტუარის) და საეკლესიო საგალობლების შესრულება მათთვის დამახასიათებელი ავთენტური და სასცენო შემსრულებლობის თავისებურებების გამოყენებით;
- ქართული სიმებიანი საკრავების სპეციფიკის აღქმა და მათზე მარტივი / შედარებით მარტივი მასალის შესრულება;
- მსოფლიოს სხვა ხალხების მუსიკალური კულტურის ნიმუშების ამოცნობა სტილური ნიშნით და ზოგიერთი მათგანის შესრულება;
- სოლო და ანსამბლში / გუნდში მუზიცირება, სცენაზე და ვიდეო/აუდიო ჩაწერაზე ქცევის წესების დაცვა;
- სხვადასხვა ხალხის ხალხური და რელიგიური მუსიკის ნიმუშების გააზრებულად აღქმა და შეფასება;
- ლექტორის ხელმძღვანელობით სავსე შემკრებლობითი მუშაობის დაგეგმვა და წარმოება, მარტივი/შედარებით მარტივი ტრადიციული მუსიკის აუდიო-ნიმუშების ნოტებზე გადატანა, სისტემატიზაცია და კატალოგიზაცია;
- ეთნომუსიკოლოგიისთვის მნიშვნელოვან საკითხთა ამოცნობა, წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მიხედვით კვლევა და

კვლევის შედეგების ეფექტურად პრეზენტაცია.

კომპოზიციის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მე-20-21-ე საუკუნეების პროფესიული მუსიკის (მათ შორის ქართული) უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობების, ტექნიკების და წარმომადგენლების შემოქმედების განხილვა ფართო ისტორიულ, ესთეტიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და ანალიტიკურ ჭრილში;
- სხვადასხვა ეპოქის და მიმდინარეობის საკომპოზიტორო ესთეტიკის (მათ შორის ქართული პროფესიული მუსიკისა და კინოს და თეატრის მუსიკის), სპეციფიკის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ შემოქმედებით პრაქტიკაში ასახვა;
- მუსიკალური კომპოზიციის ძირითადი პრინციპების განხორციელება საკუთარ შემოქმედებით პრაქტიკაში; მათ შორის, თანამედროვე პროფესიული მუსიკის მასალებისა და ტექნიკების გამოყენება საკუთარი ორიგინალური კომპოზიციის შექმნის პროცესში;
- სხვადასხვა მასშტაბის და სირთულის მუსიკალური კომპოზიციების შექმნა; აბსტრაქტული იდეის მუსიკის / ხმოვან ენაზე „გადაყვანა“; კერძოდ, მჟღერადი მასალის მოძიება და განვითარება-განვრცობა;
- სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების გაორკესტრება;
- სხვადასხვა სანოტაციო, სარედაქტორო და ხმის დასამუშავებელი კომპიუტერული პროგრამის (Sibelius, Sound Forge, Sonar და მსგავსი) გამოყენება საკუთარი შემოქმედებითი პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით;
- შემოქმედებითი პროექტის, კერძოდ, საკუთარი კომპოზიციების პორტფოლიოს გამართულად პრეზენტაცია;
- საკუთარი კომპოზიციის კონცეპტუალური მხარის ნათლად და გამართულად ჩამოყალიბება და ანოტირება.

საკლავიშო ხელოვნების მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ევროპული მუსიკის, კერძოდ ბაროკოსა და რენესანსის ეპოქების პროფესიული მუსიკის განხილვა ფართო ისტორიულ, ესთეტიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და ანალიტიკურ კონტექსტში;
- კლასიკური მუსიკის (ფართო გაგებით) მნიშვნელოვანი სტილების, ჟანრებისა და ფორმების გააზრებულად აღქმა და შეფასება;
- საკლავიშო ხელოვნების (ფორტეპიანომდე და ფორტეპიანოს) განხილვა ზოგადად საშემსრულებლო ხელოვნების ჭრილში;
- საკლავიშო ხელოვნების (კერძოდ, ფორტეპიანო და ბაროკოს კლავიშთანები) უმნიშვნელოვანესი ნიმუშების ამოცნობა და განხილვა;
- ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაზე და მუსიკალური ნაწარმოების ძირითად მახასიათებლებზე დაყრდნობით მისი ინტერპრეტაცია;
- სხვადასხვა ეპოქის (ბაროკოს, კლასიკური, რომანტიკული და ა.შ.) საკლავიშო ხელოვნებისთვის დამახასიათებელი საშემსრულებლო ხერხების პრაქტიკაში გამოყენება;
- ბაროკოს ეპოქის აუთენტური სანოტო ტექსტის გაშიფვრა;
- სოლო და ანსამბლში მუზიცირება;
- საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და გამართულად პრეზენტაცია: საჯარო შესრულება; სცენაზე და ვიდეო/აუდიო ჩაწერაზე ქცევის წესების დაცვა.

თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობები: ჯაზი, პოპის მიმართულების შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

ჯაზის (ჯაზ-ვოკალისა, პოპ-ვოკალის და ჯაზ-ორკესტრის საკრავების) ბლოკების შესწავლის შედეგად:

- ჯაზის ჰარმონიისა და სოლფეჯიოს ცოდნის საშემსრულებლო პრაქტიკაში გამოყენება;

კერძოდ, ჰარმონიული ამოცანების გადაწყვეტა და სანოტო მასალის ფურცლიდან კითხვა (სიმღერა/დაკვრა);

- ჯაზის ხელოვნების უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობებისა და წარმომადგენლების განხილვა ფართო ისტორიულ, ესთეტიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და ანალიტიკურ ჭრილში;
- ჯაზისთვის დამახასიათებელი სასიმღერო ან საკრავიერი საშემსრულებლო ხერხების გააზრებულად გამოყენება საკუთარ საშემსრულებლო პრაქტიკაში;
- ჯაზის სხვადასხვა მიმდინარეობაში სოლო და ანსამბლში / გუნდში სიმღერა ან/და დაკვრა;
- ჯაზური იმპროვიზაცია (ვოკალური ან ინსტრუმენტული);
- ჯაზის შემსრულებლისთვის აუცილებელი ჯაზსტანდარტების სტილურ-თეორიული ანალიზი და შესრულება; ჯაზური კომპოზიციის აგების ძირითადი პრინციპების გამოყენება;
- ჯაზურ სტილში საბაზო საფორტეპიანო აკომპანიმენტის გაკეთება;
- საშემსრულებლო პროექტის (კონცერტი/საჯარო შესრულება) გამართულად დაგეგმვა და პრეზენტაცია/საჯარო შესრულება; სცენაზე და ვიდეო/აუდიო ჩაწერაზე ქცევის წესების დაცვა.
- ჯაზის ჰარმონიისა და სოლფეჯიოს ცოდნის საშემსრულებლო პრაქტიკაში გამოყენება; კერძოდ, ჰარმონიის ამოცანების გადაწყვეტა და სანოტო მასალის ფურცლიდან კითხვა (სიმღერა/დაკვრა);
- თანამედროვე პოპულარული მუსიკის უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობების, წარმომადგენლებისა და მუსიკალური ნიმუშების განხილვა ფართო ისტორიულ, ესთეტიურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და ანალიტიკურ ჭრილში;
- პოპ-მუსიკის (როგორც ქართული, ისე უცხოური) ნიმუშების სოლო და ანსამბლში/გუნდში სიმღერა; სასცენო მოძრაობა;
- პოპ-სიმღერისთვის დამახასიათებელი საშემსრულებლო ხერხების გააზრებულად გამოყენება საკუთარ საშემსრულებლო პრაქტიკაში;
- საესტრადო სტილში საბაზო საფორტეპიანო აკომპანიმენტის გაკეთება;
- საშემსრულებლო პროექტის (კონცერტი/საჯარო შესრულება) გამართულად დაგეგმვა და პრეზენტაცია/საჯარო შესრულება; სცენაზე და ვიდეო/აუდიო ჩაწერაზე ქცევის წესების დაცვა.

3. დასკვნის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- დარგობრივი ინფორმაციის მოპოვების უნარი მინიმალური ხელმძღვანელობის ფარგლებში;
- განხორციელებული შემოქმედებითი პროექტის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარი შესაბამისი მეთოდების/მიდგომების გამოყენებით;
- ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და რეზიუმირების უნარი;
- დარგობრივ საკითხებზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით.

4. კომუნიკაციის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- დარგობრივი საკითხების შესახებ როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაციის უნარი სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენაზე აკადემიური სტანდარტების დაცვით;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების - მათ შორის მუსიკალური საიტებისა და კომპიუტერული პროგრამების - ეფექტური გამოყენების უნარი;
- ჯგუფში და კოლეგებთან წარმატებულად თანამშრომლობის უნარი.

5. სწავლის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- საკუთარი სწავლის მიზნებისთვის რესურსების ფართო სპექტრის გამოყენების უნარი;
- საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელების უნარი.

6. ღირებულებები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- აცნობიერებს და იცავს დარგობრივი ეთიკის სტანდარტებს;
- აცნობიერებს და აქვს სამოქალაქო ღირებულებები და ისწრაფვის ამ ღირებულებების დამკვიდრებისთვის.

სწავლების მეთოდები

- **ვერბალური მეთოდი** (ლექცია);
- **წერითი მეთოდი** (სემინარი, სხვადასხვა ტიპის წერითი, მათ შორის სანოტო სავარჯიშოები, ანოტაცია, ესე, რეფერატი);
- **პრაქტიკული მეთოდი** (მუსიკალური კომპოზიციების შექმნა, სხვათა მუსიკის არანჟირება, სოლო და ანსამბლში/გუნდში შესრულება, იმპროვიზირება, შემოქმედებითი სავარჯიშოების კეთება, მოსმენილი მასალის ნოტებზე გადატანა, ხმის შეწყობა ცალკეული ხმისადმი, ეთნომუსიკოლოგიური მასალის შეკრება, ფიქსირება, კატალოგიზაცია, არქივიზაცია და სხვ.);
- **ელექტრონული სწავლების მეთოდი** (ინტერნეტით მასალის მოძიება და შესწავლა; აუდიო/აუდიო-ვიზუალური მასალის მოსმენა და ანალიზი);
- **დემონსტრირების მეთოდი** (ლექტორის მიერ მუსიკალური ნიმუშის დემონსტრირება, - შესრულება ან/და მოსმენა, აუდიო/აუდიო-ვიზუალური ნიმუშის ჩვენება, სანოტო პარტიტურის ანალიზი და სხვ.);
- **დისკუსია** (კომპოზიციის/საშემსრულებლო ინტერპრეტაციის თავისებურებებზე მსჯელობა);
- **შემთხვევის ანალიზი** (მუსიკალური ნიმუშის/ამოცანის ანალიზი; კონცერტზე დასწრება და მოსმენილის განხილვა);
- **საველე შემკრებლობითი მუშაობა** (ეთნომუსიკოლოგიური მასალის შეკრება-ფიქსირება);
- **ჯგუფური მუშაობა** (ჯგუფურ პროექტებზე, სავარჯიშოებზე, ანსამბლში, გუნდში მუშაობა);
- **ინდივიდუალური მუშაობა** (შემოქმედებითი ამოცანების/სავარჯიშოების შესრულება, ტექსტური, სანოტო, აუდიო/აუდიო ვიზუალური მასალის შესწავლა და დამუშავება და სხვ.);
- **რეპეტიცია** (საჯარო შესრულებისთვის მზადება);
- **საჯარო გამოსვლა** (ღია და დახურული კონცერტი, მასტერ-კლასი, ვორკშოპი და სხვ.).

პროგრამაში ასევე გამოიყენება სხვა მეთოდები, რომლებიც პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა აირჩიოს სამუსიკო ხელოვნების პროგრამის რომელიმე ერთი მიმართულება და დააგროვოს კრედიტების მითითებული რაოდენობა.

მუსიკის პროგრამის ყველა მიმართულებისთვის:

1. **ზოგადი** საუნივერსიტეტო მოდული - **60** კრედიტი;
2. **თავისუფალი კომპონენტები ან დამატებითი სპეციალობა** - **60** კრედიტი;
3. **მუსიკის პროგრამის სავალდებულო კურსები** - **24** კრედიტი.
 - მუსიკის ისტორია 1: უძველესი დროიდან რომანტიზმამდე
 - მუსიკის ისტორია 2: რომანტიზმიდან მიუზიკლამდე
 - მუსიკის თეორია პრაქტიკაში: მუსიკის საბაზისო თეორია
 - საკლავიშო უნარები

შენიშვნა: მუსიკის პროგრამის სტუდენტებმა კურსები „მუსიკის თეორია პრაქტიკაში: მუსიკის საბაზისო თეორია“ და „საკლავიშო უნარები“ უნდა ისწავლონ პირველი სასწავლო წლის მეორე სემესტრში ზოგადი მოდულის ფარგლებში.

ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულების არჩევის შემთხვევაში:

4. მიმართულების **სავალდებულო** კურსები – **24** კრედიტი;
5. მიმართულების **სავალდებულო-არჩევითი** კურსები – **მინიმუმ 36** კრედიტი;
6. **არჩევითი** კურსები – ნებისმიერი კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის) - **მაქსიმუმ 36** კრედიტი.

ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების არჩევის შემთხვევაში:

4. მიმართულების **სავალდებულო** კურსები – **24** კრედიტი;
5. მიმართულების **სავალდებულო-არჩევითი** კურსები – **მინიმუმ 36** კრედიტი;
6. **არჩევითი** კურსები – ნებისმიერი კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის ეთნომუსიკოლოგიის) - **მაქსიმუმ 36** კრედიტი.

კომპოზიციის მიმართულების არჩევის შემთხვევაში:

4. მიმართულების **სავალდებულო** კურსები – **24** კრედიტი;
5. მიმართულების **სავალდებულო-არჩევითი** კურსები – **მინიმუმ 36** კრედიტი;
6. **არჩევითი** კურსები – ნებისმიერი კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის კომპოზიციის) - **მაქსიმუმ 36** კრედიტი.

საკლავიშო ხელოვნების მიმართულების არჩევის შემთხვევაში:

4. მიმართულების **სავალდებულო** კურსები - **24** კრედიტი
5. მიმართულების **სავალდებულო-არჩევითი** კურსები - **მინიმუმ 48** კრედიტი
6. **არჩევითი** კურსები - ნებისმიერი კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის საკლავიშო ხელოვნების) - **მაქსიმუმ 24** კრედიტი.

თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობები: ჯაზი, პოპის მიმართულების არჩევის შემთხვევაში:

4. მიმართულების სამივე ბლოკისთვის **სავალდებულო** კურსები - **6** კრედიტი.
5. მიმართულების სამივე ბლოკისთვის **სავალდებულო-არჩევითი** კურსები - **მინიმუმ 66** კრედიტი.
6. მიმართულების სამივე ბლოკისთვის **არჩევითი** კურსები - ნებისმიერი კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობების)- **მაქსიმუმ 24** კრედიტი.

შეფასების წესი

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- საკონცერტო ესტრადა;
- მასმედია (რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები);
- კინო და თეატრი;
- საშემსულებლო ანსამბლები და გუნდები;
- ხალხური და საეკლესიო გუნდები;
- შემოქმედებითი სტუდიები;
- ხმის ჩამწერი სტუდიები;
- არქივები, მუზეუმები;
- შესაბამისი პროფილის კლუბები;
- სამუსიკო სკოლები და სასწავლებლები;
- კერძო შემოქმედებითი, პედაგოგიური და რეპეტიტორული პრაქტიკა;
- საკონცერტო ორგანიზაციები, პროდიუსინგი;
- სარეკლამო ბიზნესი;
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

სწავლა-სწავლების ეფექტიანად წარმართვისთვის საჭიროა უნივერსიტეტში არსებული:

- საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- სალექციო აუდიტორიები;
- სასწავლო ლაბორატორიები;
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები;
- სტუდენტის რეგისტრაციის და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი;
- უნივერსიტეტთან არსებული მუსიკის ცენტრის ბაზა:
 - ელექტროაკუსტიკური სტუდია;
 - სარეპეტიციო სტუდია;
 - საკონცერტო დარბაზები;
 - აუდიო და ვიდეო აპარატურა;
 - მულტიმედია ბიბლიოთეკა ფონოტეკით;
 - ეთნომუსიკოლოგიური კვლევითი ჯგუფის არქივი;
 - კლავიშანი საკრავები (ფორტეპიანოები, როიალები, კლავესინი);
 - ჯაზ-ორკესტრის და ხალხური საკრავები;
 - კომპიუტერები, პროექტორები;
 - სპეციალური საკომპოზიტორო, სანოტაციო და სარედაქტორო კომპიუტერული პროგრამები;
 - სანოტო დაფები.

ასევე, პროგრამა თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი; საქათველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი; საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ხმები წარსულიდან“; ქართული

ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი), რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და განვითარებაში.

№	კურსები	სტატუსი (სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი ან არჩევითი)	ლექტორი/სტატუსი	კრედიტები	საკონტ. საათები	სემესტრი	
						შემ	გაზ
ძირითადი პროგრამის სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი							
1.	მუსიკის ისტორია 1: უძველესი დროიდან რომანტიზმამდე	სავალდებულო	მანანა კორძია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
2.	მუსიკის ისტორია 2: რომანტიზმიდან მიუზიკლამდე	სავალდებულო	მანანა კორძია (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
3.	მუსიკის თეორია პრაქტიკაში 1: მუსიკის საბაზისო თეორია	სავალდებულო	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30	X	X
4.	საკლავიშო უნარები	სავალდებულო	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	X
ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულება მიმართულების სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი							
1.	ელექტროაკუსტიკური მუსიკის შესავალი	სავალდებულო	რეზო კვიციანი (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
2.	კომპიუტერული მუსიკის პრაქტიკა	სავალდებულო	რეზო კვიციანი (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
3.	ელექტრონული კომპოზიცია	სავალდებულო	რეზო კვიციანი (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
4.	ელექტროაკუსტიკური მუსიკის ისტორია და ესთეტიკა	სავალდებულო	რეზო კვიციანი (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 36 კრედიტი							
1.	მუსიკის პროგრამირება	სავალდ-არჩევითი	რეზო კვიციანი (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
2.	„ლაივ“ ელექტრონიკა კომპიუტერულ მუსიკაში და ინტერაქტიული მუსიკალური მოდელები	სავალდ-არჩევითი	რეზო კვიციანი (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
3.	ელექტროაკუსტიკური ნაწარმოებების პორტფოლიო	სავალდ-არჩევითი	რეზო კვიციანი (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
4.	მუსიკის აკუსტიკა	სავალდ-არჩევითი	რეზო კვიციანი	6	30	X	
5.	შესავალი საუნდ-დიზაინში - Pro Tools საფუძვლები	სავალდ-არჩევითი	ქუჯი დავითულიანი (მოწვეული ლექტორი) ბესო კაჭარავა (მოწვეული ლექტორი) გიორგი მურდულია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
6.	შესავალი ინტერაქტიურ ხმის დიზაინში (ინტერაქტიური ხმის დიზაინი კომპიუტერულ თამაშებში, ინსტალაციებში და თანამედროვე კომპიუტერულ და მობილურ აპლიკაციებში)	სავალდ-არჩევითი	ბესო კაჭარავა (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
7.	ელექტროაკუსტიკური მუსიკის ტექნოლოგიები	სავალდ-არჩევითი	ქუჯი დავითულიანი (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	X
8.	პოპულარული ელექტრონული მუსიკის ისტორია 1	სავალდ-არჩევითი	ქუჯი დავითულიანი (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
9.	პოპულარული ელექტრონული	სავალდ-არჩევითი	ქუჯი დავითულიანი	6	30		X

	მუსიკის ისტორია 2		(მოწვეული ლექტორი)				
მიმართულების არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 36 კრედიტი							
ნებისმიერი 6 (ექვსი) კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის)							
ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება							
მიმართულების სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი							
1.	ეთნომუსიკოლოგიის შესავალი	სავალდებულო	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
2.	ქართული ხალხური მუსიკა 1	სავალდებულო	ნინო მახარაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
3.	ქართული ხალხური მუსიკა 2	სავალდებულო	ნინო მახარაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
4.	მსოფლიოს ხალხთა მუსიკა	სავალდებულო	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები - 36 კრედიტი							
1.	მუსიკა, რელიგია, რიტუალი	სავალდ-არჩევითი	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	X
2.	ქართული საეკლესიო მუსიკა	სავალდ-არჩევითი	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
3.	ხალხური საკრავები საქართველოში (იგივე „ხალხური საკრავები საქართველოში“)	სავალდ-არჩევითი	ნინო მახარაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
4.	ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები	სავალდ-არჩევითი	ნინო მახარაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
5.	ქართული სიმებიანი საკრავები: ფანდურზე, ჩონგურზე, ჩანგზე, ჭუნირზე დაკვრის პრაქტიკული კურსი	სავალდ-არჩევითი	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
6.	ქართული გალობა (პრაქტიკული)	სავალდ-არჩევითი	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
7.	ქართული ხალხური სიმღერა ვაჟები - 1 (პრაქტიკით)	სავალდ-არჩევითი	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
8.	ქართული ხალხური სიმღერა ვაჟები - 2 (პრაქტიკით)	სავალდ-არჩევითი	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
9.	ქართველ ქალთა და ბავშვთა ტრადიციული სიმღერები (ჩაშენებული პრაქტიკით) (იგივე „ქართველ ქალთა მუსიკალური ფოლკლორი“)	სავალდ-არჩევითი	ნინო მახარაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
10.	ტრადიციული მუსიკის შეკრება საქართველოში (საველე პრაქტიკით)	სავალდ-არჩევითი	ნინო მახარაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
11.	ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი	სავალდ-არჩევითი	თამაზ გაბისონია (ასოცირებული პროფესორი)	6	60	X	X
მიმართულების არჩევითი კურსები - 36 კრედიტი							

ნებისმიერი 6 (ექვსი) კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის ეთნომუსიკოლოგიის)

კომპოზიციის მიმართულება

მიმართულების სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი

1.	კომპოზიცია 1	სავალდებულო	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30	X	
2.	კომპოზიცია 2	სავალდებულო	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30		X
3.	კომპოზიცია 3	სავალდებულო	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30	X	
4.	კომპოზიცია 4	სავალდებულო	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30		X

მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები - მინიმუმ 36 კრედიტი

1.	კომპოზიცია 5	სავალდ-არჩევითი	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30	X	
2.	კომპოზიცია 6: შემოქმედებითი პორტფოლიო	სავალდ-არჩევითი	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30		X
3.	მუსიკის ინფორმატიკა 1: სანოტაციო, სარედაქტორო და ხმის დასამუშავებელი პროგრამები	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
4.	გაორკესტრების თეორია და პრაქტიკა 1	სავალდ-არჩევითი	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30	X	
5.	გაორკესტრების თეორია და პრაქტიკა 2	სავალდ-არჩევითი	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30		X
6.	თანამედროვე მუსიკა: მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობები	სავალდ-არჩევითი	მარინა ადამია (პროფესორი)	6	30	X	
7.	ქართული მუსიკის ისტორია	სავალდ-არჩევითი	მანანა კორძაია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	X
8.	კინოს და თეატრის მუსიკა	სავალდ-არჩევითი	მანანა კორძაია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	X

მიმართულების არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 36 კრედიტი

ნებისმიერი 6 (ექვსი) კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის კომპოზიციის)

საკლავიშო ხელოვნების მიმართულება

მიმართულების სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი

1.	საფორტეპიანო ხელოვნება 1: საბაზისო კურსი	სავალდებულო	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
2.	საფორტეპიანო ხელოვნება 2	სავალდებულო	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
3.	კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 1	სავალდებულო	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
4.	კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 2	სავალდებულო	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	30		X

მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები- მინიმუმ 48 კრედიტი

1.	საფორტეპიანო ხელოვნება 3	სავალდ-არჩევითი	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
2.	საფორტეპიანო ხელოვნება 4	სავალდ-არჩევითი	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
3.	საფორტეპიანო ხელოვნება 5	სავალდ-არჩევითი	ნინო მამრამე	6	30	X	

			(ასოცირებული პროფესორი)				
4.	საფორტეპიანო ხელოვნება 6: საშემსრულებლო პროექტი	სავალდ-არჩევითი	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	45		X
5.	საფორტეპიანო აკომპანიმენტის ხელოვნება 1 (ყოფილი „საკონცერტმეისტრო და საანსამბლო ხელოვნება 1“)	სავალდ-არჩევითი	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
6.	საფორტეპიანო აკომპანიმენტის ხელოვნება 2 (ყოფილი „საკონცერტმეისტრო და საანსამბლო ხელოვნება 2“)	სავალდ-არჩევითი	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
7.	კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 3	სავალდ-არჩევითი	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
8.	კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 4	სავალდ-არჩევითი	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
9.	კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 5: საშემსრულებლო სოლო პროექტი	სავალდ-არჩევითი	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	
10.	კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 6: საშემსრულებლო საანსამბლო პროექტი	სავალდ-არჩევითი	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	45		X
11.	ბაროკოს ეპოქის საანსამბლო ხელოვნება	სავალდ-არჩევითი	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
12.	ევროპული მუსიკის ისტორია (ბაროკოს და რენესანსის ეპოქა)	სავალდ-არჩევითი	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	X
13.	საკლავიშო ხელოვნების ისტორია 1 (ფორტეპიანომდე)	სავალდ-არჩევითი	ქეთევან შენგელია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
14.	საფორტეპიანო ხელოვნების ისტორია	სავალდ-არჩევითი	ნინო მამრამე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X

მიმართულების არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 24 კრედიტი

მაქსიმუმ 4 (ოთხი) ნებისმიერი კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის კლავიშიანი საკრავების)

თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობები: ჯაზი, პოპის მიმართულება მიმართულების სავალდებულო კურსები - 6 კრედიტი

1.	ჯაზის ჰარმონია და ჰარმონიული სოლოფეჯიო (ყოფილი „ჯაზის ჰარმონია“)	სავალდებულო	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	60	X	
----	--	-------------	---	---	----	---	--

მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები - მინიმუმ 66 კრედიტი

ჯაზ-ვოკალის ბლოკი

1.	ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 1	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	
2.	ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 2	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45		X
3.	ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 3	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45	X	
4.	ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 4	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45		X
5.	ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 5	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე	6	45	X	

			(ასოცირებული პროფესორი)				
6.	შემოქმედებითი პროექტი: ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 6	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45		X
7.	გოსპელ-გუნდი 1: Christmas Carol Workshop (იგივე „ილიაუნის გოსპელ-გუნდი“)	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი) ნინო სადრაძე (მოწვეული ლექტორი)	6	60	X	
8.	გოსპელ-გუნდი 2 (Contemporary Gospel Workshop)	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი) ნინო სადრაძე (მოწვეული ლექტორი)	6	60		X
9.	გოსპელ-გუნდი 3: Hymns Workshop	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი) ნინო სადრაძე (მოწვეული ლექტორი)	6	60	X	
10.	გოსპელ-გუნდი 4: Stage Workshop	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი) ნინო სადრაძე (მოწვეული ლექტორი)	6	60		X
ჯაზ-ორკესტრის საკრავების ბლოკი							
11.	დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკა 1	სავალდ-არჩევითი	ლაშა სხილაძე (მოწვეული ლექტორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	
12.	დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკა 2	სავალდ-არჩევითი	ლაშა სხილაძე (მოწვეული ლექტორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45		X
13.	დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკა 3	სავალდ-არჩევითი	ლაშა სხილაძე (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45	X	
14.	დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკა 4	სავალდ-არჩევითი	ლაშა სხილაძე (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45		X
15.	დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკა 5	სავალდ-არჩევითი	ლაშა სხილაძე (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45	X	
16.	ელექტრო-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 1	სავალდ-არჩევითი	ზურაბ ასტამაძე (მოწვეული ლექტორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	
17.	ელექტრო-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 2	სავალდ-არჩევითი	ზურაბ ასტამაძე (მოწვეული ლექტორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45		X
18.	ელექტრო-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 3	სავალდ-არჩევითი	ზურაბ ასტამაძე (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45	X	
19.	ელექტრო-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 4	სავალდ-არჩევითი	ზურაბ ასტამაძე (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45		X
20.	ელექტრო-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 5	სავალდ-არჩევითი	ზურაბ ასტამაძე (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე	6	45	X	

36.	საყვირზე დაკვრის ტექნიკა და ჯახ-სოლფეჯიო 1	სავალდ-არჩევითი	ლევან კემულარია (მოწვეული ლექტორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	
37.	საყვირზე დაკვრის ტექნიკა და ჯახ-სოლფეჯიო 2	სავალდ-არჩევითი	ლევან კემულარია (მოწვეული ლექტორი) მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	45		X
38.	საყვირზე დაკვრის ტექნიკა 3	სავალდ-არჩევითი	ლევან კემულარია (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45	X	
39.	საყვირზე დაკვრის ტექნიკა 4	სავალდ-არჩევითი	ლევან კემულარია (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45		X
40.	საყვირზე დაკვრის ტექნიკა 5	სავალდ-არჩევითი	ლევან კემულარია (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	45	X	
41.	combo-ანსამბლში დაკვრის ტექნიკა 1 (ყოფილი „საშემსრულებლო პროექტი: საყვირზე დაკვრის ტექნიკა 6 და/ან combo-ანსამბლში დაკვრის ტექნიკა“)	სავალდ-არჩევითი	ლევან რუსია (მოწვეული ლექტორი) ირაკლი კვანჭიანი (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
42.	combo-ანსამბლში დაკვრის ტექნიკა 2: შემოქმედებითი პროექტი	სავალდ-არჩევითი	ლევან რუსია (მოწვეული ლექტორი) ირაკლი კვანჭიანი (მოწვეული ლექტორი) ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	60		X
43.	ჯაზური ლიტერატურა 1	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
44.	ჯაზური ლიტერატურა 2	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
45.	ჯაზური აკომპანიმენტის საფუძვლები და ფურცლიდან კითხვა	სავალდ-არჩევითი	ირაკლი კვანჭიანი (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
46.	უნიკალური პიროვნებები ჯაზში 1	სავალდ-არჩევითი	მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
47.	უნიკალური პიროვნებები ჯაზში 2	სავალდ-არჩევითი	მანანა ხომტარია (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
48.	მოდალური ჯაზის ჰარმონია (იმპროვიზაციის ჭრილში)	სავალდ-არჩევითი	ირინე ებრალიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
პოპ-ვოკალის ბლოკი							
49.	პოპ-ვოკალის ტექნიკა 1	სავალდ-არჩევითი	დოდო კილაძე (მოწვეული ლექტორი) თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
50.	პოპ-ვოკალის ტექნიკა 2	სავალდ-არჩევითი	დოდო კილაძე (მოწვეული ლექტორი) თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
51.	პოპ-ვოკალის ტექნიკა 3	სავალდ-არჩევითი	დოდო კილაძე (მოწვეული ლექტორი) თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	
52.	პოპ-ვოკალის ტექნიკა 4	სავალდ-არჩევითი	დოდო კილაძე (მოწვეული ლექტორი) თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	45		X

53.	პოპ-ვოკალის ტექნიკა 5	სავალდ-არჩევითი	დოდო კილაძე (მოწვეული ლექტორი) თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	45	X	
54.	შემოქმედებითი პროექტი: პოპ-ვოკალის ტექნიკა 6	სავალდ-არჩევითი	დოდო კილაძე (მოწვეული ლექტორი) თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	45		X
55.	პოპ-მუსიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორია: 1900-2000	სავალდ-არჩევითი	ნინო სადრაძე (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	X
56.	საესტრადო აკომპანიმენტის ხელოვნება 1 (ყოფილი „საესტრადო აკომპანიმენტის ხელოვნება“)	სავალდ-არჩევითი	თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	
57.	საესტრადო აკომპანიმენტის ხელოვნება 2	სავალდ-არჩევითი	თეა ჯინორია (მოწვეული ლექტორი)	6	30		X

მიმართულების არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 24 კრედიტი

მაქსიმუმ 4 (ოთხი) ნებისმიერი კურსი მუსიკის პროგრამის ნებისმიერი მიმართულებიდან (მათ შორის პოპ-ვოკალის ბლოკიდან)

სწავლის შედეგების რუკა						
სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მუსიკის თეორია პრაქტიკაში: მუსიკის საბაზისო თეორია	x	x	x	x	x	x
საკლავიშო უნარები	x	x	x	x	x	x
მუსიკის ისტორია 1: უძველესი დროიდან რომანტიზმამდე	x	x	x	x	x	x
მუსიკის ისტორია 2: რომანტიზმიდან მიუზიკლამდე	x	x	x	x	x	x
ელექტროაკუსტიკური მუსიკის შესავალი	x	x	x	x	x	x
კომპიუტერული მუსიკის პრაქტიკა	x	x	x	x	x	x
ელექტრონული კომპოზიცია	x	x	x	x	x	x
ელექტროაკუსტიკური მუსიკის ისტორია და ესთეტიკა	x	x	x	x	x	x
მუსიკის აკუსტიკა	x	x	x	x	x	
მუსიკის პროგრამირება	x	x	x	x	x	x
„ლაივ“ ელექტრონიკა კომპიუტერულ მუსიკაში და ინტერაქტიური მუსიკალური მოდელები	x	x	x	x	x	x
ელექტროაკუსტიკური ნაწარმოებების პორტფოლიო	x	x	x	x	x	x
შესავალი საუნდ-დიზაინში - Pro Tools საფუძვლები	x	x	x	x	x	x
შესავალი ინტერაქტიურ ხმის დიზაინში (ინტერაქტიური ხმის დიზაინი კომპიუტერულ თამაშებში,	x	x	x	x	x	x

ინსტალაციებში და თანამედროვე კომპიუტერულ და მობილურ აპლიკაციებში)						
ელექტროაკუსტიკური მუსიკის ტექნოლოგიები	x	x	x	x	x	x
პოპულარული ელექტრონული მუსიკის ისტორია 1, 2	x	x	x	x	x	x
ეთნომუსიკოლოგიის შესავალი	x	x	x	x	x	x
ქართული ხალხური მუსიკა 1, 2	x	x	x	x	x	x
მსოფლიოს ხალხთა მუსიკა	x	x	x	x	x	x
ქართული საეკლესიო მუსიკა	x	x	x	x	x	x
მუსიკა, რელიგია, რიტუალი	x	x	x	x	x	x
ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები	x	x	x	x	x	x
ხალხური საკრავები საქართველოში	x	x	x	x	x	x
ქართული სიმებიანი საკრავები: ფანდურზე, ჩონგურზე, ჩანგზე, ჭუნირზე დაკვრის პრაქტიკული კურსი	x	x	x	x	x	x
ქართული გალობა (ჩაშენებული პრაქტიკით)	x	x	x	x	x	x
ქართველ ვაჟთა ტრადიციული სიმღერები 1 (პრაქტიკით)	x	x	x	x	x	x
ქართველ ვაჟთა ტრადიციული სიმღერები 2 (პრაქტიკით)	x	x	x	x	x	x
ქართველ ქალთა და ბავშვთა ტრადიციული სიმღერები (ჩაშენებული პრაქტიკით)	x	x	x	x	x	x
ტრადიციული მუსიკის შეკრება საქართველოში (საველე პრაქტიკით)	x	x	x	x	x	x
ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი	x	x	x	x	x	x
თანამედროვე მუსიკა: მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობები	x	x	x	x	x	x
კომპოზიცია 1, 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
კომპოზიცია 6: შემოქმედებითი პორტფოლიო	x	x	x	x	x	x
გარკესტრების თეორია და პრაქტიკა 1, 2	x	x	x	x	x	x
ქართული მუსიკის ისტორია	x	x	x	x	x	x
კინოს და თეატრის მუსიკა	x	x	x	x	x	x
მუსიკის ინფორმატიკა: სანოტაციო, სარედაქტორო და ხმის დასამუშავებელი პროგრამები	x	x	x	x	x	x
ჯაზის ჰარმონია და ჰარმონიული სოლფეჯიო	x	x	x	x	x	x
ჯაზური აკომპანიმენტის საფუძვლები	x	x	x	x	x	x
ჯაზური ლიტერატურა 1, 2	x	x	x	x	x	x
ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 1, 2	x	x	x	x	x	x
ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
შემოქმედებითი პროექტი: ჯაზ-ვოკალის ტექნიკა 6	x	x	x	x	x	x

გოსპელ-გუნდი 1: Christmas Carol Workshop	x	x	x	x	x	x
გოსპელ-გუნდი 2: Contemporary Gospel Workshop	x	x	x	x	x	x
გოსპელ-გუნდი 3: Hymns Workshop	x	x	x	x	x	x
გოსპელ-გუნდი 4: Stage Workshop	x	x	x	x	x	x
უნიკალური პიროვნებები ჯაზში 1, 2	x	x	x	x	x	x
მოდალური ჯაზის ჰარმონია იმპროვიზაციის ჭრილში	x	x	x	x	x	x
დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკა 1, 2	x	x	x	x	x	x
დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკა 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
ელექტრო-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 1, 2	x	x	x	x	x	x
ელექტრო-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
ბას-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 1,2	x	x	x	x	x	x
ბას-გიტარაზე დაკვრის ტექნიკა 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
ჯაზ-ფორტეპიანოს ტექნიკა 1,2	x	x	x	x	x	x
ჯაზ-ფორტეპიანოს ტექნიკა და ჯაზ-სოლფეჯიო 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
საყვირზე დაკვრის ტექნიკა 1, 2	x	x	x	x	x	x
საყვირზე დაკვრის ტექნიკა 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
საქსოფონზე დაკვრის ტექნიკა 1, 2	x	x	x	x	x	x
საქსოფონზე დაკვრის ტექნიკა 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
combi-ანსამბლში დაკვრის ტექნიკა 1	x	x	x	x	x	x
combi-ანსამბლში დაკვრის ტექნიკა 2: შემოქმედებითი პროექტი	x	x	x	x	x	x
პოპ-მუსიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორია: 1900-2000	x	x	x	x	x	x
საესტრადო აკომპანიმენტის ხელოვნება 1, 2	x	x	x	x	x	x
პოპ-ვოკალის ტექნიკა 1, 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
შემოქმედებითი პროექტი: პოპ-ვოკალის ტექნიკა 6	x	x	x	x	x	x
ევროპული მუსიკის ისტორია (ბაროკოს და რენესანსის ეპოქა)	x	x	x	x	x	x
საკლავიშო ხელოვნების ისტორია 1 (ფორტეპიანომდე)	x	x	x	x	x	x
საფორტეპიანო ხელოვნების ისტორია	x	x	x	x	x	x
საფორტეპიანო ხელოვნება 1: საბაზისო კურსი	x	x	x	x	x	x
საფორტეპიანო ხელოვნება 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
საფორტეპიანო ხელოვნება 6: სამემსრულეზღო პროექტი	x	x	x	x	x	x
საფორტეპიანო აკომპანიმენტის ხელოვნება 1, 2	x	x	x	x	x	x
კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x

კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 5: სამემსრულებლო სოლო პროექტი	x	x	x	x	x	x
კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 6: სამემსრულებლო საანსამბლო პროექტი	x	x	x	x	x	x
ბაროკოს ეპოქის საანსამბლო ხელოვნება	x	x	x	x	x	x